

**სადოქტორო პროგრამის სახელწოდება:** მოლეკულური მედიცინა

**სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელები:**

სრული პროფესორი ლაურ მანაგაძე

ასოცირებული პროფესორი თემურ ჩიგოგიძე

სადოქტორო პროგრამის “მოლეკულური მედიცინა” მიზანია:

მოამზადოს ექიმი დოქტორანტები მოლეკულურ მედიცინაში, რომელიც გულისხმობს კლინიკური და ექსპერიმენტული უროლოგიის, ურონკოლოგიისა და ტრანსპლანტოლოგიის შესწავლას, ასევე კომპლექსური მკურნალობისა და პრევენციის გზების ძიებას.

პროგრამის დასრულების შემდეგ დოქტორი შეიძენს ცოდნას:

- მეცნიერული კვლევის თანამედროვე მეთოდებში;
- სწავლების თანამედროვე მეთოდებში;
- დარგის თანამედროვე თეორიებსა და მოდელებში;

**სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:** მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, უცხო ენის BB2 დონე.

**სასწავლო კომპონენტი:**

დოქტორანტურაში სასწავლო კომპონენტი შეადგენს 60 კრედიტს, ხოლო კვლევითი ნაწილი 120 კრედიტს.

**სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:**

სადოქტორო პროგრამა “მოლეკულური მედიცინა“ კლინიკური და ექსპერიმენტული უროლოგია, ურონკოლოგია, ტრანსპლანტოლოგია მოდული ძირითადად შესრულდება თსუ მედიცინის ფაკულტეტის უროლოგიის დეპარტამენტსა და უროლოგიის ეროვნულ ცენტრში. საჭიროების შემთხვევაში კი თემატიკის პროფილიდან გამომდინარე ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის ინსტიტუტში.

**დასაქმების სფეროები:**

სადოქტორო პროგრამა “მოლეკულური მედიცინა” ამზადებს ფუნდამენტური და კლინიკური მედიცინის კვალიფიციურ სპეციალისტებს.

მედიცინის დოქტორებს შეძენილი ცოდნის რეალიზება შეუძლიათ სამედიცინო პროფილის ყველა კლინიკურ-სადიაგნოსტიკო ცენტრებში, სამკურნალო დაწესებულებებში, კერძო სექტორში, ფარმაცევტულ კომპანიებში, სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში, Esხვადასხვა სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

არსებული ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე სადოქტორო პროგრამაზე ერთდროულად შესაძლებელია 2 დოქტორანტის მიღება.